ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №183

ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ს[1]” პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი” წარმოდგენილი დირექტორის დავით ლეკვეიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე შპს შინაგან საქმეთა სასამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის კარლო ურუშაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს დანაშაულის აღკვეთა შპს „შავის ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ შენობაში დანერგილი საგანგაშო სიგნალიზაციის მეშვეობით, ცენტრალიზებულ დაცვის პულტზე მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირების გზით (CPV–79700000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1620.00 (ერთი ათას ექვსას ოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 135 (ასოცდათხუმეტი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად , მხარეთა მიერ ხელშეკრულოებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სათანადო საგადასახადო დოკუმენტაციის (კანონმდებლობის შესაბამისად) საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიწოდების ვადა, მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის” დირექტორი დავით ლეკვეიშვილი

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ”მიმწოდებელი” ვალდებულია:

5.1.1 დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცეს ”შემსყიდველს”: რადიო გადამცემი, რადიო გადაცემის ყუთი, რადიო გადამცემი პლატა და უზრუნველყოს მათი-მონტაჟი ინსტალაცია;

5.1.2 ცენტრალიზებულ დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან, მყისიერად, არაუგვიანეს 5 წუთისა გამოცხადდეს ადგილზე და მისვლისთანავე უზრუნველყოს დანაშაულის თავიდან აცილება-აღკვეთა;

5.1.3 გააცნოს შემსყიდველს სიგნალიზაციის გამოყენების წესები;

5.1.4 ადგილზე აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს შსს ორგანოების გამოძახება და მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;
5.1.5 არ მიიღოს ობიექტი დაცვაში თუ შეიქმნა პირობები, რომლის გამოც "მიმწოდებლისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაზე აყვანა, რის შესახებაც ეცნობება შემსყიდველს წინასწარ;
5.2 "შემსყიდველი" ვალდებულია:
5.2.1 საფრთხის შემთხვევაში დროულად მოახდინოს სიგნალ-განგაშის გადაცემა ცენტრალიზებული დაცვის პულტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში "მიმწოდებელი" თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან
5.2.2 არ გაანდოს უცხო პირს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები;
5.2.3 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს 'მიმწოდებელს".
5.2.4 დაცვის სისტემა აღჭურვოს ახალი სარეზერვო მკვებავი საშუალებებით და მინიმუმ 18 თვეში ერთხელ უზრუნველყოს მათი განახლება, მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იქონიოს დასამუხტი მოწყობილობა და სარეზერვო მკვებავი საშუალებები, დაიცვას მათი ექსპლოატაციის პირობები და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დროულად უნდა უზრუნველყონ მისი შეცვლა;
5.2.5 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ჩაატაროს სიგნალიზაციის მუშა მდგომარეობის შემოწმება;
5.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობის(რომელიც მიმწოდებლის საკუთრებაა) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
5.2.7 არ დაუშვას მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება თვითნებურად;
5.2.8. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს.
5.2.9 მიმწოდებელი ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღისა განახორციელებს 5.1.1 პუნქტში ჩამოთვლილი მოწყობილობების შემოწმებას და დემონტაჟს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.2 ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწ-ყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.3 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლარად, სამი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან," ერთი ინახება „შემსყიდველთან".

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" ს/ნ 245626443 ქ. ბათუმი, შ.რუსთაველის ქ.N51 ბანკის კოდი: LBRTGE22 სს „ლიბერთი ბანკი" ა/ნ GE96LB0113131624387001	შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ს/კ 211350928 მის: ქ.თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა მიმღ. დასახელება_ ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_ 707117043 აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.№11 ტელ: 27 74 31, 27 02 89

დირექტორი: **დ.ლეკვეიშვილი** **სამმართველოს უფროსი:** **კ. ურუშაძე**

Karlo Urushadze

Digitally signed by Karlo Urushadze
Date: 2019.12.24 17:17:42 +04'00'

შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი"

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა, შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ცენტრსა" და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2019 წლის 24 დეკემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 183 -ის გაფორმება არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი დ.ლეკვეიშვილი